საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად

2020

სარჩევი

შესავალი 3

ძირითადი მიგნებები 5

მეთოდოლოგია 6

1. პრობლემები დისტანციურ სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით 7

2. ტექნიკური ხარვეზები სხდომების მიმდინარეობის დროს 9

   2.1. სხდომების დაწყების დაგვიანება 9

   2.2. სხდომის მიმდინარეობის არსებითი ხელშეშლა და გადადება 11

3. დისტანციურ პროცესებზე ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობა 13

   3.1. ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა 13

   3.2. შეჯიბრებითი პროცესისა და მოწმეთა დაკითხვის პრობლემატიკა 14

   3.3. თარჯიმნის მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემები 18

   3.4. დისტანციურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები 19

დასკვნა 20

რეკომენდაციები 22

დანართი 24

შესავალი

2020 წლის 21 მარტიდან საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ამავე დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტი. დეკრეტით განისაზღვრა, მათ შორის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა.[1]

პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრული დროებითი წესის ამოწურვის შემდეგ, სისხლის სამართლის პროცესში არ არსებობდა პროცესის დისტანციურად გამართვის საკანონმდებლო საფუძველი. სწორედ ამიტომ 2020 წლის 22 მაისს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და საქართველოს საერთო სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, 2020 წლის 15 ივლისამდე სასამართლო სხდომები დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაეტარებინათ.[2]

საგულისხმოა, რომ კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტი მოსამართლეს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე მიეღო გადაწყვეტილება სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარების შესახებ, ხოლო პროცესის მონაწილე პირებს არ ეძლეოდათ მისი გასაჩივრების ან უარის თქმის უფლება.[3]

ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის სასამართლო სხდომის მიმართ ბლანკეტური მიდგომის გამოყენების შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უფლება მომეტებული საფრთხის ქვეშ დგებოდა, რის გამოც სახალხო დამცველმა პარლამენტს შესაბამისი წინადადებით მიმართა.[4] წინადადება მიმოიხილავდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომების მონიტორინგის პირველად შედეგებს და მიუთითებდა მხოლოდ ისეთი სხდომების დისტანციურად ჩატარების მნიშვნელობაზე, რომელთა გადადებაც გამოუსწორებელ ზიანს გამოიწვევდა.[5]

აღნიშნული რეკომენდაციები გამომდინარეობდა და შეესაბამებოდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა[6] და ევროსაბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის სპეციალური კომისიისა[7] დოკუმენტებს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებდნენ სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიზაციისა და გამოუსწორებელი ზიანის საფრთხეზე აქცენტის გაკეთების აუცილებლობაზე.

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 7.
[2] საქართველოს 2020 წლის 22 მაისის N5973-სს კანონი.
[3] 2020 წლის 13 მაისის N07-3/450 საკანონმდებლო პაკეტი.
[4] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 მაისის N02-1/5118 წინადადება.
[5] იხ. < https://bit.ly/2CYUoDp >
[6] იხ. < https://bit.ly/2NMZxjX >
[7] იხ. < https://bit.ly/3ihkaCZ >

პარალელურად, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) მიუთითებდა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების ეფექტიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. საბჭოს მოსაზრებით, აუცილებელია რომ დისტანციური წესით ჩატარებული სასამართლო პროცესები განხორციელდეს ადეკვატური ვიდეო-ტექნიკური აღჭურვილობით, რათა პროცესის ყველა მონაწილეს სრულყოფილად შეეძლოს სხდომაზე მონაწილეობა.[8] ასევე გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, დისტანციური სასამართლო პროცესი არ დაარღვევს პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუკი დაცვის უფლების განხორციელება სრულყოფილად იქნება შესაძლებელი.[9]

მისასალმებელია, რომ პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის შენიშვნები.[10] შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით, 2020 წლის 15 ივლისამდე ამოქმედდა სასამართლო სხდომების გამართვის *დროებითი* წესი, რომლის მიხედვით სასამართლოს დისტანციური სხდომების ჩატარების უფლებამოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლეოდა, თუკი (1) ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა; (2) ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის დისტანციური წესით ჩაუტარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.[11]

სახალხო დამცველის აპარატი დეკრეტის ამოქმედებისთანავე შეეცადა, განეხორციელებინა დისტანციური სასამართლო სხდომების მონიტორინგი და დაიწყო შესაბამისი მეთოდოლოგიის მომზადება საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული დროებითი რეგულაციის პრაქტიკული მოქმედების შეფასების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა, 18 მაისიდან 22 ივნისის ჩათვლით, საერთო სასამართლოების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის ფარგლებში სახალხო დამცველის რწმუნებულები, ქვეყნის მასშტაბით, დაესწრნენ დისტანციური წესით გამართულ 279 სხდომას. შედეგად გამოიკვეთა არაერთი ხარვეზი, რომელიც მეტწილად განპირობებულია სხდომების დისტანციურობით და საფრთხეს უქმნის ან შეიძლება უქმნიდეს როგორც

[8] იხ. < https://bit.ly/2VuSmBp >

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Marcello Viola v. Italy, 45106/04; აგრეთვე Sakhnovskiy v. Russia [GC], 21272/03.

[10] იხ. < https://bit.ly/2ZksTvy >

[11] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 332^5, ნაწ. 1.

ბრალდებულისა თუ პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებრივ მდგომარეობას, ისე სასამართლოს ჯეროვან ფუნქციონირებასა და საჯარო მიზნების მიღწევას.

წინამდებარე ანგარიში აღწერს ცალკეულ სასამართლოებში სხდომებზე დასწრების პრობლემურ შემთხვევებს. კვლევა ასევე შეეხება იმ არაერთ ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც სხდომების არაგონივრული გაჭიანურებისა და გადადების მიზეზი ხშირად ხდებოდა. ანგარიშის ძირითადი ნაწილი დაეთმობა იმ სამართლებრივ ხარვეზებს, რომელიც სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის უფლებით სარგებლობას მომეტებულად აზიანებს.

ძირითადი მიგნებები

- სხდომების მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზული დაგვიანებით იწყებოდა. 44 სხდომის შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 16%) დაგვიანებამ 1 საათს გადააჭარბა
- სხდომათა დაგვიანების მთავარი მიზეზი პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა იყო
- სხდომათა დიდ უმრავლესობას მხედველობასა და სმენადობასთან დაკავშირებული, არსებითი ხასიათის ტექნიკური პრობლემები ახლდა თან, რაც უკიდურესად აფერხებდა მათ ნორმალურ მიმდინარეობას, რიგ შემთხვევებში კი - სხდომის გადადებასაც იწვევდა
- ბრალდებულების აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ არსებობდა ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა
- ტექნიკური ხარვეზების გამო ბრალდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა, რაც სხდომის მიმდინარეობისას გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა
- მოწმეთა დაკითხვის დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლო ვერ ამოწმებდა მოწმეთა სანდოობას (მაგ, შესაძლო ზეგავლენა, წინასწარ დაწერილი ტექსტის წაკითხვა)
- რამდენიმე პროცესზე დაფიქსირდა თარგმნის ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზი
- აღკვეთის ღონისძიების საკითხები მეტწილად დასაბუთებულად წყდებოდა
- სასამართლოთა უმრავლესობა ხელს უწყობდა სახალხო დამცველისა და სხვა მონიტორთა დასწრებას სხდომაზე, თუმცა არსებობდა სამწუხარო გამონაკლისებიც
- სასამართლოს სისტემაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა სხდომების განრიგის განთავსების, ასევე დახურულ სხდომაზე სახალხო დამცველის რწმუნებულების დაშვებასთან დაკავშირებით.

მეთოდოლოგია

სასამართლო სხდომების მონიტორინგი სამ ეტაპად განხორციელდა. მონიტორინგს აწარმოებდა სახალხო დამცველის ხუთი რწმუნებული, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს. იმისთვის, რომ მიღებული შედეგი მაქსიმალურად ობიექტური და სრული სურათის ამსახველი ყოფილიყო, თითოეულ სასამართლოში მონიტორინგი მინიმუმ ორმა რწმუნებულმა განახორციელა.

პირველ, მოსამზადებელ ეტაპზე, 18-19 მაისს, განხორციელდა მონიტორინგი 4 საქალაქო (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი) სასამართლოში. მონიტორინგის ფარგლებში რწმუნებულები დაესწრნენ 42 სხდომას. ამ ეტაპზე მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სხდომების მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი მთავარი პრობლემების გამოკვეთა, რომლის საფუძველზეც დაიგეგმებოდა მონიტორინგის შემდგომი ეტაპები.

მეორე, ძირითადი ეტაპი განხორციელდა 22 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით. აღნიშნული მონიტორინგის დროს რწმუნებულები ხელმძღვანელობდნენ სპეციალური კითხვარებით, რომლითაც შესაძლებელი იყო წინა ეტაპზე გამოკვეთილი და სასამართლო სხდომებთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების სრულყოფილი დოკუმენტირება (იხ. *დანართი*). ამ ეტაპზე, სპეციალური კითხვარების მეშვეობით, განხორციელდა 204 სასამართლო სხდომის მონიტორინგი 21 საქალაქო და რაიონულ სასამართლოში.

აღნიშნულ ეტაპზე დამონიტორინგებული 204 სხდომიდან 136 წარმოადგენდა არსებითი განხილვის სხდომას, 47 - წინასასამართლო სხდომას, 20 - პირველი წარდგენის, ხოლო 1 - ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომას. 20 სხდომა ჩატარდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მიზნით, საიდანაც 11 ჩატარდა პირველი წარდგენის, ხოლო 9 - არსებითი განხილვის ეტაპზე. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დაიფარა ყველა კატეგორიის სასამართლო სხდომა.

მესამე, დამატებით ეტაპზე, 16-22 ივნისს განხორციელდა მონიტორინგი ფოკუსირებული წესით იმ რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში, სადაც წინა ორი ეტაპის ანალიზის შედეგად, სპეციფიკური ხასიათის პრობლემები გამოიკვეთა ან საჭირო გახდა დამატებითი დაკვირვება სხვადასხვა საკითხის დაზუსტების მიზნით. აღნიშნულ ეტაპზე 33 სხდომის მონიტორინგი განხორციელდა. მათგან 31 სხდომა იყო არსებითი განხილვის, 1 - პირველი წარდგენის, ხოლო 1 - წინასასამართლო სხდომა. აქედან 16 სხდომა შესწავლილ იქნა რუსთავის რაიონულ სასამართლოში, 4 სხდომა - ბოლნისის, 2 სხდომა - გორის, მცხეთის, სენაკის, თელავისა და ოზურგეთის, ხოლო თითო სხდომა - საჩხერის, ახალქალაქის, სიღნაღის რაიონულ სასამართლოებში.

საბოლოო ჯამში, კვლევის ფარგლებში განხორციელდა 279 სხდომის მონიტორინგი შემდეგ სასამართლოებში:

დიაგრამა N1: სხდომათა რაოდენობა რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიხედვით

თბილისი	ქუთაისი	ბათუმი	რუსთავი	ფოთი
43	41	41	29	10
ხელვაჩაური	ბოლნისი	მცხეთა	ახალციხე	გურჯაანი
12	12	10	10	9
ზესტაფონი	სენაკი	თეთრიწყარო	ხაშური	ახალქალაქი
8	7	6	6	6
ზუგდიდი	გორი	სიღნაღი	ოზურგეთი	თელავი
6	6	5	5	4
საჩხერე				
3				

თითოეული სხდომის მონიტორინგისას, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ავსებდნენ კითხვარებს, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატში ინახება. წინამდებარე დოკუმენტში ასახული მიგნებები სწორედ მათ ანალიზს ეფუძნება.

1. პრობლემები დისტანციურ სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით

საგულისხმოა, რომ სასამართლოების დიდი უმრავლესობა თანამშრომლობისადმი დადებითად იყო განწყობილი. სახალხო დამცველის რწმუნებულთა საკონტაქტო პირების - მოსამართლის თანაშემწეებისა და სხდომის მდივნების უმეტესი ნაწილი მაქსიმალურად ცდილობდა, ხელი შეეწყო მონიტორინგის განხორციელებისთვის. სახალხო დამცველი განსაკუთრებულ მადლობას უხდის გურჯაანის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, ქუთაისის, ხელვაჩაურისა და სხვა რაიონული თუ საქალაქო სასამართლოების აპარატებს გაწეული ოპერატიული და გულისხმიერი თანამშრომლობისთვის.[12]

[12] საპირისპირო მაგალითისთვის უნდა აღინიშნოს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილის აპარატმა 17 ივნისსა და თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თამარ კაპანაძის აპარატმა 18 ივნისს რწმუნებულებს არ გაუგზავნეს შესაბამისი ონლაინ-ბმულები, რის გამოც ისინი სხდომებს ვერ დაესწრნენ. თუმცა, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულმა

თუმცა სამწუხაროა, რომ ცალკეულმა მოსამართლეებმა პირდაპირი წინააღმდეგობა გამოხატეს სხდომებზე სახალხო დამცველის რწმუნებულთა დასწრებასთან დაკავშირებით. შედეგად, სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაუსაბუთებლად არ მიეცათ სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. აღნიშნული ტიპის პრობლემები შეიქმნა გორისა და მცხეთის რაიონულ სასამართლოებში.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, გერმანე დადეშქელიანმა, 4 და 5 ივნისს გასამართ დისტანციურ სასამართლო პროცესებზე სახალხო დამცველის რწმუნებულთა დაშვებაზე ცალსახა უარი განაცხადა. მოსამართლის აპარატმა სახალხო დამცველის რწმუნებულს განუცხადა, მოგვიანებით კი წერილობითაც დაადასტურა, რომ იგი დისტანციური წესით გამართულ სხდომაზე მხოლოდ მხარეებსა და მოწმეს მისცემდა დასწრების უფლებას, ხოლო ნებისმიერი სხვა პირი ფიზიკურად უნდა მისულიყო სასამართლო დარბაზში.[13] ანალოგიური მიზეზით, 17 ივნისს სხდომაზე დასწრების უფლება რწმუნებულებს არ მისცა მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბიძინა სტურუამ.

აღნიშნული პოზიცია უგულებელყოფს საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს. სასამართლო სხდომათა დისტანციური წესით ჩატარება სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ სხდომის მონაწილეებს არ მოუწიოთ სასამართლოს დარბაზში გამოცხადება და მაქსიმალურად დაცული იყოს სოციალური დისტანცირების რეკომენდაცია. ნიშანდობლივია, რომ თავად გორის ან მცხეთის რაიონულ სასამართლოებში მსგავსი პრაქტიკა სხვა მოსამართლეებს არ დაუმკვიდრებიათ.

საგულისხმოა ისიც, რომ დამონიტორინგებული 279 სხდომიდან მხოლოდ 12 სხდომას ესწრებოდა მონიტორი არასამთავრობო ან სხვა ორგანიზაციიდან. შესაბამისად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუკი სახალხო დამცველის აპარატს არ მიეცემა შესაძლებლობა, დაესწროს და დააკვირდეს დისტანციური სხდომის მიმდინარეობას, მაშინ სასამართლოების საჯარო ანგარიშვალდებულება შემცირდება, რადგან პანდემიის პერიოდში მოქალაქეები სასამართლო სხდომებზე ფიზიკურად დასწრებას მოერიდებიან და სხდომაზე ფიზიკურად დამსწრე პირთა რაოდენობაც შეზღუდულია.[14]

მონიტორინგის დროს ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულებს მოსთხოვეს სხდომის დატოვება იმის მიუხედავად, რომ პროგრამული ხარვეზი სხდომაზე ჩართულ სხვა პირებთან ფიქსირდებოდა. მსგავსი გადაწყვეტილება 16 ივნისს მიიღო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

მოსამართლეებმა შემდგომში შეცვალეს მიდგომა და რწმუნებულებს მისცეს სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა.

[13] გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 11 ივნისის N4578 წერილი.

[14] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის N1 რეკომენდაცია, „დ" ქვეპუნქტი.

მადონა მაისურაძემ. ასევე, 19 ივნისს - რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა და 18 მაისს - თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მამუკა წიკლაურმა უარი განაცხადეს სხდომაზე სახალხო დამცველის რწმუნებულების დაშვებაზე იმ საფუძვლით, რომ ინტერნეტ-კავშირის სიძლიერე არ იძლეოდა ამის შესაძლებლობას.

სახალხო დამცველის მანდატთან დაკავშირებული პრობლემები შეიქმნა დახურულ სხდომებზე დასწრებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის რწმუნებულები მრავალი წელია ესწრებიან დახურულ სხდომებს, თუმცა სასამართლოთა მცირე ნაწილი[15] ითხოვს წინასწარ წერილობით მიმართვას. ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელი ხდება დახურული სასამართლო სხდომების დისტანციური მონიტორინგი, რაკი მსგავს პირობებში შეუძლებელია სასამართლოსთვის რამდენიმე დღით ადრე, წინასწარი წერილობითი მიმართვის გაგზავნა.

ცალკე აღსანიშნავია საკითხი, რომელიც არ უკავშირდება სახალხო დამცველის კონსტიტუციურ მანდატს, თუმცა შესაძლოა გაართულოს სხდომებზე სხვა პირთა დასწრების შესაძლებლობა. როგორც მონიტორინგის პერიოდში გამოირკვა, სასამართლო სხდომათა განრიგს ათავსებს არა სასამართლოთა საქმისწარმოების სისტემის ერთიან საიტზე (ecd.court.ge), არამედ მხოლოდ საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე.[16] მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის უნიფიცირება, რათა დაინტერესებულ პირებს გაუადვილდეთ სხდომათა მონიტორინგი.

2. ტექნიკური ხარვეზები სხდომების მიმდინარეობის დროს

სასამართლო სხდომების დისტანციურმა ხასიათმა ტექნიკური ხასიათის არაერთი განმეორებადი პრობლემა წარმოშვა. სასამართლო და პენიტენციური სისტემა მსგავსი გამოწვევისთვის მზად არ აღმოჩნდა. ტექნიკური პრობლემების გამო სხდომების დაწყება ხშირად საათობით გვიანდებოდა, რაც არსებითად უშლიდა ხელს სასამართლო პროცესის ჩატარებას, რიგ შემთხვევებში კი პროცესების გადადების საფუძველიც ხდებოდა.

2.1. სხდომების დაწყების დაგვიანება

მონიტორინგის საწყისმა ეტაპმა აჩვენა, რომ სხდომების დაგვიანებით დაწყება დისტანციური პროცესების დამახასიათებელ ნიშნად იყო ქცეული და მის მთავარ მიზეზს პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურა წარმოადგენდა.

[15] 19 მაისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო; ასევე 25 მაისი, სიღნაღის რაიონული სასამართლო.

[16] მითითებული საიტი (ecd.court.ge) არის საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემა, რომელიც აერთიანებს ყველა სააპელაციო, საქალაქო, რაიონული და მაგისტრი სასამართლოს განრიგს, მიღებულ გადაწყვეტილებებს, სასამართლო აქტებსა და სხვა მასალებს. თუკი სასამართლოები საკუთარ მონაცემებს აღნიშნული ვებ-გვერდის ნაცვლად საკუთარ ვებ-გვერდებზე ატვირთავენ, მაშინ მონიტორინგის განხორციელების მსურველს მოუწევს, თითოეული მათგანის გვერდი სათითაოდ შეამოწმოს, რაც არაგონივრული იქნებოდა.

პენიტენციური დაწესებულებების მიზეზით სულ 93 სხდომის დაწყება დაგვიანდა. მათგან 1 საათზე მეტი ხნით დაგვიანდა 44 სხდომის დაწყება, დაგვიანების მაქსიმალური დრო კი 3 საათი და 46 წუთი იყო.

პენიტენციური დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფდნენ სასამართლო პროცესზე პატიმრების დროულ ჩართვას, რაც განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოებზე აისახებოდა. განსაკუთრებით ხანგრძლივად ჭიანურდებოდა პატიმრების ჩართვა N8 პენიტენციური დაწესებულებიდან, რაც მოსალოდნელი იყო იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულთა ყველაზე დიდი კონტინგენტი სწორედ ამ დაწესებულებაშია მოთავსებული.

სახალხო დამცველის აპარატი შეეცადა გაერკვია, თუ რამდენი სპეციალური ოთახით იყო აღჭურვილი თითოეული პენიტენციური დაწესებულება. სამწუხაროდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურმა დეპარტამენტმა აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოადგინა.[17] წერილობითი პასუხი არ წარმოადგინა არც N8 პენიტენციურმა დაწესებულებამ.[18] თუმცა, N8 დაწესებულების თანამშრომლებთან ზეპირი განმარტებით გაირკვა, რომ დაწესებულებაში მაისის ბოლოსთვის 11 სპეციალური ოთახი იყო გამოყოფილი სასამართლო პროცესებისთვის. ამავე პერიოდისთვის N2 დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 5 სპეციალური ოთახი.[19]

შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ აღნიშნული დაწესებულებებიდან პატიმრების პროცესებზე ჩართვა, შესაბამისი ოთახების სიმცირის, დაწესებულების უსაფრთხოების წესებისა და დაწესებულების დღის განრიგის[20] გათვალისწინებით, პროცესების მუდმივ გაჭიანურებას იწვევდა. მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, რამდენიმე საათი ელოდნენ ბრალდებულის ჩართვას, ხშირ შემთხვევაში უწევდათ პროგრამაში მუდმივად ყოფნა.

თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც სხდომის გადადება მაინც აუცილებელი ხდებოდა იმის გამო, რომ სპეციალურ ოთახში მიყვანილი ბრალდებულის ჩართვა ტექნიკურად ვერ ხერხდებოდა. ასეთ შემთხვევაში, სხდომის გახსნის შემდგომ, ცხადდებოდა შესვენება, სანამ არ გახდებოდა შესაძლებელი ბრალდებულის ჩართვა სასამართლო პროცესზე.[21]

სავარაუდოდ, მსგავსი ტექნიკური მიზეზების გამო, პირველი ივნისიდან სასამართლოებმა ფაქტობრივად შეცვალეს მიდგომა. ამ პერიოდიდან მნიშვნელოვნად

---

[17] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2020 წლის 25 მაისის N15-11/5262 წერილზე პასუხი 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ მიუღია.
[18] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2020 წლის 25 მაისის N15-11/5266 წერილზე პასუხი 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ მიუღია.
[19] N2 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 29 მაისის N129130/20 წერილი.
[20] მაგალითად, პატიმართა სადილობის დრო, დაწესებულების პერსონალის რაოდენობა.
[21] 2 ივნისი, ფოთის საქალაქო სასამართლო.

შემცირდა დისტანციური წესით იმ ბრალდებულთა საქმეების განხილვა, ვისაც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება ჰქონდა შეფარდებული. მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსამართლეებს ერჩივნათ, სხდომა ლოდინის გარეშე, სასამართლო დარბაზში ჩაეტარებინათ.

2.2. სხდომის მიმდინარეობის არსებითი ხელშეშლა და გადადება

სხდომის დაწყების შემდგომ ტექნიკური ხარვეზები ყველაზე ნათლად იჩენდა თავს. თითქმის ყველა საქალაქო და რაიონულ სასამართლოში გამართულ პროცესებს ახასიათებდა ტექნიკური ხასიათის სერიოზული პრობლემები, რომლებიც სხდომის სხვადასხვა მონაწილეებს პროცესში სრულყოფილად ჩართვაში მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს. ტექნიკური პრობლემები ასევე იწვევდა სხდომების საათობით გაჭიანურებასა და გადადებას.

ტექნიკური პრობლემები, როგორც წესი, სხდომის მიმდინარეობის ვიზუალურ და აუდიო პრობლემებს უკავშირდებოდა და მისი მთელი მიმდინარეობის დროს იჩენდა თავს.[22] თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლოს[23] ან მოწმეს გაეთიშა ელექტროენერგია,[24] ან ადვოკატების ხმა არ ისმოდა იმის გამო, რომ ისინი არასაოფისე სივრციდან ერთვებოდნენ.[25]

განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც პროცესის მონაწილეები, მათ შორის, ადვოკატიც, კადრში არ ჩანდნენ.[26] ერთ-ერთ მსგავს შემთხვევაში მოსამართლემ აღნიშნა კიდეც, რომ ადვოკატი და ბრალდებული არ ჩანდნენ, თუმცა ამ საკითხის გადასაჭრელად რაიმე ნაბიჯი არ გადადგმულა.[27]

კიდევ უფრო ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სხდომის მიმდინარეობისას წყდებოდა ან პერიოდულად არ ისმოდა ბრალდებულის,[28] ადვოკატის,[29] პროკურორის,[30] მოსამართლის,[31] ან ერთდროულად რამდენიმე მონაწილის[32] ხმები. ბრალდებულთათვის სხდომის მონაწილეთა ხმების აღქმა განსაკუთრებით

[22] 27 მაისი, ფოთის საქალაქო სასამართლო.
[23] 19 ივნისი, ახალქალაქის რაიონული სასამართლო.
[24] 5 ივნისი, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.
[25] 25 მაისი, გურჯაანის რაიონული სასამართლო; 18 ივნისი, საჩხერის რაიონული სასამართლო.
[26] 5 ივნისი, გურჯაანის რაიონული სასამართლო; 5 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[27] 19 ივნისი, ოზურგეთის რაიონული სასამართლო.
[28] 5 ივნისი, ოზურგეთის რაიონული სასამართლო; 25 მაისი, გორის რაიონული სასამართლო; 25 მაისი, ბოლნისის რაიონული სასამართლო.
[29] 5 ივნისი, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო; 25 მაისი, გორის რაიონული სასამართლო.
[30] 3 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო; 28 მაისი, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო.
[31] 3 ივნისი, თელავის რაიონული სასამართლო; 22 ივნისი, გორის რაიონული სასამართლო.
[32] 29 მაისი, თბილისის საქალაქო სასამართლო, 25 მაისი, გორის რაიონული სასამართლო.

პრობლემური იყო მაშინ, როდესაც ისინი პენიტენციური დაწესებულებიდან ერთვებოდნენ.[33] სმენადობას დამატებით ართულებდა პირბადეები.[34]

როგორც წესი, ამ პრობლემის გადაწყვეტის გზად ლაპარაკის შენელება მიიჩნეოდა.[35] სხვა შემთხვევებში, მოსამართლეები მუდმივად იმეორებდნენ პროცესის მონაწილეთა ნათქვამს, რათა ბრალდებულთათვის აღქმადი გამხდარიყო მათი საუბარი, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.[36] ყველაზე პრობლემური იყო შემთხვევა,[37] როდესაც ბრალდებულმა აღნიშნა, რომ მას არ ესმოდა სხდომის სხვა მონაწილეთა ხმები. მოსამართლე თავად უყვებოდა მას სხვა პირთა საუბრის შინაარსს, მოგვიანებით კი მიიღო მტკიცებულებათა უდავოდ ცნობის შესახებ ბრალდებულის თანხმობა ისე, რომ არ განუმარტა, თუ რას ნიშნავს მტკიცებულებების უდავოდ ცნობა და არ გაარკვია, მიღებული ჰქონდა თუ არა ადვოკატისგან შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაცია.

დადებითად შეიძლება გამოირჩეს რიგ მოსამართლეთა[38] პრაქტიკა, რომლებიც ხშირად ეკითხებოდნენ მხარეებს, ესმოდათ თუ არა პროცესის სხვა მონაწილეთა ხმა. ასევე, რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოწმეები იკითხებდნენ სასამართლოში სპეციალურად მოწყობილი დასაკითხი ოთახიდან, რაც მნიშვნელოვნად აისახებოდა ხმის ხარისხზე.[39] ასევე მისასალმებელია შემთხვევა, როდესაც ბრალდებულმა აღნიშნა, რომ მტკიცებულებად წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერში ხმას ვერ აღიქვამდა, მოსამართლემ კი სხდომა გადადო, რათა ჩანაწერი მოგვიანებით, მსგავსი ტექნიკური ხარვეზების გარეშე გამოკვლეულიყო.[40]

სხდომის გადადების ყველაზე ხშირი მიზეზი იყო ის, რომ პენიტენციურმა დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო პროცესზე ბრალდებულის დროულად ჩართვა. ამ მიზეზით 20 სხდომა გადაიდო.[41] 16 შემთხვევაში ბრალდებული,[42] მოწმე,[43] ან სხვა პირი ვერ გამოცხადდა დარბაზში ან ვერ შეძლო ონლაინ ჩართვა.[44] 5 შემთხვევაში სხდომა გადაიდო იმის გამო, რომ დაცვის მხარემ მოითხოვა ონლაინ-ფორმატის შეცვლა,

[33] 1 ივნისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო; 29 მაისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო.
[34] 22 ივნისი, გორის რაიონული სასამართლო; 02 ივნისი, მცხეთის რაიონული სასამართლო.
[35] 4 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
[36] 4 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო; 3 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
[37] 3 ივნისი, თელავის რაიონული სასამართლო.
[38] ვიოლეტა ფორჩხიძე (ბათუმი), ლევან ნუცუბიძე (სენაკი), მამია ფხაკაძე (რუსთავი), გიორგი არევაძე (თბილისი).
[39] 17 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
[40] 22 მაისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
[41] 29 მაისი, ახალქალაქის რაიონული სასამართლო; 3 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
[42] 28 მაისი, მცხეთის რაიონული სასამართლო; 1 ივნისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო.
[43] 29 მაისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო; 17 ივნისი, მცხეთის რაიონული სასამართლო.
[44] 28 მაისი, მცხეთის რაიონული სასამართლო; 29 მაისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

ერთხელ კი - ბრალდებულის გაძევების გამო. სხდომები გადაიდო იმ მიზეზითაც, რომ პირი კარანტინის ზონაში იმყოფებოდა.[45]

სხდომების გადადების მიზეზად ასევე გვხვდებოდა ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ არააღქმადი სმენადობა,[46] პირბადის გამო გამოწვეული სმენადობის პრობლემები,[47] პროგრამაში შესვლის შეუძლებლობა.[48]

3. დისტანციურ პროცესებზე ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობა

ტექნიკური ხარვეზების გავლენა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სხდომის დაგვიანებით, ან პრობლემური მიმდინარეობით. სხდომების დისტანციური ხასიათი სერიოზულ პრობლემად იქცა ბრალდებულთა უფლებების რეალიზაციის, შეჯიბრებითი პროცესის უზრუნველყოფის, თარგმნის ჯეროვანი განხორციელებისა და სხვა მიმართულებებით.

3.1. ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა

დაცვის უფლება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური ელემენტია, რომელიც მოიცავს პირის უფლებას, ჰქონდეს ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობა.[49] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თუ ბრალდებული სხდომაზე დისტანციურად ერთვება, აუცილებელია, რომ იგი ტექნიკურად აღჭურვილი იყოს ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობის შესაძლებლობით.[50]

სამწუხაროდ, მონიტორინგის პერიოდმა აჩვენა, რომ ყველა საქმეში, სადაც პატიმრობაშეფარდებული ბრალდებული სხდომაში პენიტენციური დაწესებულებიდან მონაწილეობდა, მას ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ადვოკატისა და ბრალდებულის საუბარი მიმდინარეობდა პროცესის მონაწილე სხვა პირების თანდასწრებით. კონფიდენციალური კომუნიკაცია შეეძლოთ მხოლოდ იმ ბრალდებულებს, რომლებიც ადვოკატთან ფიზიკურად ერთად იმყოფებოდნენ და ერთობლივად ერთვებოდნენ სხდომაზე.[51]

---

[45] 3 ივნისი, ზესტაფონის რაიონული სასამართლო.

[46] 29 მაისი, თბილისის საქალაქო სასამართლო; 29 მაისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო; 4 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო.

[47] 2 ივნისი, მცხეთის რაიონული სასამართლო.

[48] 4 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო.

[49] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Yaroslav Belousov v. Russia; 2653/13 & 60980/14; პარა. 151-154.

[50] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Marcello Viola v. Italy, 45106/04, პარა. 63-67; აგრეთვე, Sakhnovskiy v. Russia [GC], 21272/03, პარა. 98.

[51] 29 მაისი, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო; 18 მაისი, სენაკის რაიონული სასამართლო; 19 მაისი, ოზურგეთის რაიონული სასამართლო.

ადვოკატთან ნაწილობრივ კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა ბრალდებულს ჰქონდა სხდომის დაწყებამდე. ასეთ შემთხვევაში მათი საუბარი მოსამართლეს და პროკურორს არ ესმოდათ (რაკი ჯერ ჩართულები არ იყვნენ), თუმცა ესმოდათ სხდომის მდივანს და დამსწრე პირებს.[52] უშუალოდ სხდომის მიმდინარეობისას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ ბრალდებულისთვის მიცემული რჩევები პროცესის ყველა მონაწილეს ესმოდა.[53] ეს განსაკუთრებულ პრობლემას ქმნიდა მაშინ, როდესაც ადვოკატი რჩევას განაჩენის გასაჩივრების სტრატეგიასთან დაკავშირებით გასცემდა.[54]

ეს ყოველივე მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომების დისტანციური ჩატარება არ უნდა მოხდეს ბრალდებულისა და ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის უხეში დარღვევის ხარჯზე. სხვა შემთხვევაში, ბრალდებულები ელემენტარულად ვერ შეძლებენ ადვოკატთან პოზიციის შეჯერებას პროცესის მსვლელობისას,[55] რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა იქნება.[56]

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, პროცესის მიმდინარეობისას ტექნიკურად შესაძლებელი გახდეს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაცია. ბრალდებულის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კუთხით ასევე საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი ბრალდებული ცუდად გახდა და სამედიცინო შემოწმება გახდა საჭირო, მისი ექიმთან საუბარი და სამედიცინო ინფორმაცია (განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი) იზოლატორში მყოფ და სხდომაზე ჩართულ სხვა პირებსაც ესმოდათ, როდესაც ამის სამართლებრივი საჭიროება არ არსებობდა.[57]

3.2.შეჯიბრებითი პროცესისა და მოწმეთა დაკითხვის პრობლემატიკა

შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას, წარადგინოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები,[58] უშუალოდ დაკითხოს მოწმეები[59] და ბრალდების მსგავს პირობებში დაიცვას საკუთარი თავი.

---

[52] 3 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო; 27 მაისი, ფოთის საქალაქო სასამართლო.
[53] 1 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო.
[54] 25 მაისი, გორის რაიონული სასამართლო.
[55] 1 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო.
[56] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Sakhnovskiy v. Russia [GC], 21272/03, პარა. 104.
[57] 25 მაისი, გორის რაიონული სასამართლო.
[58] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Öcalan v. Turkey [GC], 46221/99, პარა 140.
[59] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Murtazaliyeva v. Russia [GC], 36658/05, პარა. 139.

ამ კუთხით პირველი პრობლემა იქმნება მაშინ, როდესაც ბრალდებულს არ განემარტებოდა, ან ნომინალურად და გაუგებრად განემარტებოდა საკუთარი უფლებები,[60] მათ შორის, ადვოკატის მეშვეობით დაცვასთან დაკავშირებით.[61] ამ კუთხით გამოსარჩევია რამდენიმე მოსამართლე, რომელიც ამომწურავად და გასაგებად უხსნიდა ბრალდებულს საკუთარ უფლებებს - ალექსანდრე იაშვილი (თბილისი), თათია გოგოლაური (ქუთაისი), ნანა ჯოხაძე (ქუთაისი).

მოწმეთა აღქმადობის პრობლემა

ბუნებრივია, ბრალდებულისთვის სრულად უნდა იყოს აღქმადი სასამართლო მიმდინარეობა, სრულყოფილად ესმოდეს მოწმეების, პროკურორისა თუ მოსამართლის ხმა. საპროცესო სტრატეგიის დაგეგმვის კუთხით ასევე მნიშნელოვანია მოწმეთა ვიზუალურად აღქმა, რადგან მოწმის თითოეულ მიმიკას თუ ჟესტს შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისთვის.[62]

ამის საწინააღმდეგოდ, იყო შემთხვევები, როდესაც მოწმის სახე დაკითხვის მიმდინარეობისას საერთოდ არ ჩანდა,[63] ან ბრალდებულს არ ესმოდა მისი ხმა.[64] პრობლემური იყო ისეთი საქმეებიც, სადაც შეუძლებელი იყო მოწმის მიმიკების გარჩევა სახის პირბადეებით დაფარვის გამო.[65] ერთ-ერთი მოწმის დაკითხვა ისე დასრულდა, რომ ბრალდებულებს მისი ხმა არ ესმოდათ. ამის შესახებ ბრალდებულებმა განაცხადეს მეორე მოწმის დაკითხვის მიმდინარეობისას, თუმცა, პირველი მოწმის დაკითხვა თავიდან არ მომხდარა.[66]

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ბრალდებული საკუთარ ადვოკატს ეუბნებოდა, რომ არ ესმოდა პროცესის სხვა მონაწილეთა საუბრის შინაარსი, თუმცა ადვოკატმა „დაამშვიდა", რომ მას სხდომის მიმდინარეობის მოსმენა არ ესაჭიროებოდა, რადგან პროცესი მაინც გადაიდებოდა.[67] ერთ-ერთ პროცესზე, პირიქით, პროკურორს არ ესმოდა დაცვის მხარის კითხვები მოწმის მისამართით და ვერ ახერხებდა პროტესტის წარდგენას. მოსამართლემ ტექნიკური ხარვეზის აღმოსაფხვრელად რაიმე ზომის

[60] იმ პირობებში, როდესაც ტექნიკური ხარვეზის გამო ბრალდებულს ისედაც ცუდად ესმის სხდომის მიმდინარეობა (25 მაისი, გურჯაანის რაიონული სასამართლო), ან როდესაც იგი ადვოკატის გარეშეა წარმოდგენილი და მნიშვნელოვანი საპროცესო გადაწყვეტილებაა მისაღები (მაგ. მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა, 27 მაისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო), მხოლოდ კანონის ნორმების მიყოლებით წაკითხვა შესაძლოა არ იყოს საკმარისი იმაში დასარწმუნებლად, რომ ბრალდებულმა სრულყოფილად აღიქვა საკუთარი საპროცესო უფლებები.

[61] 28 მაისი, საჩხერის რაიონული სასამართლო.

[62] კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N.S. v. Her Majesty the Queen, et al.; 2012, პარა. 18.

[63] 28 მაისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო; 03 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.

[64] 03 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.

[65] 17 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო; 5 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.

[66] 25 მაისი, გორის რაიონული სასამართლო.

[67] 25 მაისი, გურჯაანის რაიონული სასამართლო.

მიღების ნაცვლად, პროკურორს შესთავაზა, ფიზიკურად მისულიყო სხდომათა დარბაზში.[68]

როდესაც საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი ბრალდებული დისტანციურად ერთვებოდა პენიტენციური დაწესებულებიდან, როგორც წესი, ვიდეოკამერა მიბრუნებული იყო მოსამართლისკენ, რის გამოც კადრში არ ჩანდნენ პროკურორები და ადვოკატები,[69] ან დარბაზში მყოფი სხვა პირები.[70] კიდევ უფრო პრობლემურია მსგავს შემთხვევებში ის გარემოება, რომ ბრალდებულები, სურვილის დაფიქსირების მიუხედავად, ვერ ხედავდნენ მოწმეებს დაკითხვის მიმდინარეობისას.[71]

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა ნაწილი არსებითად ზრუნავდა ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრაზე, სთხოვდა პროცესის მონაწილეებს ესაუბრათ მიკროფონთან ახლოს და გასაგებად. ისინი ასევე აბრუნებდნენ ვიდეოკამერას დარბაზში მყოფი პირებისკენ, რათა მოსაუბრის გამოსახულება ბრალდებულისა და დისტანციურად ჩართული პირებისთვის აღქმადი ყოფილიყო.[72]

პოზიტიურ გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევა, როდესაც მოწმის ხმის ხარვეზის გამო, მოსამართლე გიორგი გრატიაშვილმა მოწმის დაკითხვა გადაიდო და მოხდა მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა.[73] სხვა მსგავს შემთხვევაში, არაერთი ხარვეზისა და სმენადობის პრობლემების მიუხედავად, სხდომა მაინც ჩატარდა, მოწმეებიც დაიკითხნენ და მოსამართლის მხრიდან ხარვეზების აღმოფხვრის ნაცვლად, მოსამართლემ მონაწილე პირებს მიუთითა სასამართლო დარბაზში ფიზიკურად მისვლის საჭიროებაზე.[74]

მოწმეთა დაკითხვის პროცესი

არსებითი განხილვის დროს პრობლემას წარმოადგენდა იმის დადგენა, იმყოფებოდნენ თუ არა მოწმეები მარტო და იძლეოდნენ თუ არა ისინი ჩვენებებს ზეგავლენისგან თავისუფლად. ერთ შემთხვევაში, მოსამართლეს სურდა ვიდეო თვალით დაეთვალიერებინა ის სივრცე, საიდანაც მოწმე ერთვებოდა, თუმცა, მოწმისგან მიიღო უარი, კამერის უძრაობის არგუმენტით.[75]

---

[68] 05 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[69] 5 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[70] 5 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[71] 3 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[72] მაგ. მაია კვირიკაშვილი (თბილისი), გიორგი გრატიაშვილი (ბათუმი), ვიოლეტა ფორჩხიძე (ბათუმი).
[73] 29 მაისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[74] 5 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[75] 27 მაისი, ფოთის საქალაქო სასამართლო.

მოწმეთა დისტანციური დაკითხვის დროს, როგორც წესი, არ ჩანდა მათ წინ (მაგალითად, მაგიდაზე) მდებარე საგნები. ერთ შემთხვევაში, ინსპექტორ-გამომძიებლის დაკითხვისას, მოწმე მუდმივად იხედებოდა ქვევით და ტოვებდა შთაბეჭდილებას, თითქოს რაღაცას კითხულობდა. თუმცა, ვერ მოხერხდა იმის შეფასება, ედო თუ არა ფურცელი ან სხვა მასალა მოწმეს მაგიდაზე, კონკრეტულად რას უყურებდა და რა მიზნით.[76]

ანალოგიურად, იყო შემთხვევა, როდესაც დისტანციურად იკითხებოდა სამი ექსპერტი. სამივე მოწმე კითხულობდა რაღაც დოკუმენტს. ივარაუდებოდა, რომ ექსპერტები კითხულობდნენ საკუთარ საექსპერტო დასკვნებს, თუმცა, ამის გადამოწმება არ მომხდარა.[77] მართალია, დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი, ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი,[78] თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოწმეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მთლიანად წინასწარ დაწერილი ჩვენება წაიკითხოს.

საგანგაშო შემთხვევა დაფიქსირდა მაშინ, როდესაც მოწმის სახით იკითხებდნენ საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელი პოლიციელები. მათი ჩართვა ხდებოდა პოლიციის განყოფილებიდან. დაკითხვის მიმდინარეობისას კადრში ჩანდა მხოლოდ უშუალოდ მოწმე, თუმცა, ჩვენების მიცემისას მოისმა სხვა ხმაც, რომელმაც მოწმეს უკარნახა პიროვნების სახელი და გვარი. აღნიშნულზე პროტესტი გამოთქვა ადვოკატმა, ხოლო მოსამართლემ იკითხა, თუ ვინ იმყოფებოდა ოთახში დამატებით. მოწმის მიერ სხვა პირის თანხლების ვერბალური უარყოფის შემდეგ სხდომა ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდა. მოწმესთან ერთად სხვა პირის ყოფნისა და მოწმისთვის ინფორმაციის კარნახის დადასტურების/გამორიცხვის მიზნით სხვა ღონისძიებები სასამართლოს არ გაუტარებია.[79]

გარეშე ზეგავლენა არ იყო გამორიცხული მაშინაც, როდესაც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი ბრალდებული ერთვებოდა არაიდენტიფიცირებადი სივრციდან, გამოსახულება იყო ბუნდოვანი, ვიდეო კამერისგან იჯდა მოშორებით, ოთახი ჰგავდა ოფისს და ოთახში იყო გარეშე ორი პირი.[80]

საგულისხმოა, რომ პოლიციის განყოფილებიდან სასამართლო სხდომაზე ერთვებოდნენ ის ბრალდებულები, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არ ჰქონდათ შეფარდებული.[81] ერთ-ერთ მსგავს შემთხვევაში, სხდომის დაწყებამდე, პოლიციის თანამშრომლები ხუმრობით ეუბნებოდნენ ბრალდებულს,

[76] 17 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
[77] 22 მაისი, თბილისის საქალაქო სასამართლო.
[78] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მეექვსე ნაწილი.
[79] 16 ივნისი, სიღნაღის რაიონული სასამართლო.
[80] 1 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო.
[81] 27 მაისი, სიღნაღის რაიონული სასამართლო; 27 მაისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

რომ თუ სადავოდ გახდიდა მტკიცებულებებს და „ერთ ამბავს ატეხდა", სხდომა დიდხანს გაგრძელდებოდა. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ სხდომაზე ბრალდებულმა ყველა მტკიცებულება უდავოდ სცნო. ნიშანდობლივია, რომ ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი.[82]

დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ადვოკატი, ბრალდებული და სახალხო დამცველის რწმუნებული, ტექნიკური ხარვეზის გამო, დროებით გაითიშნენ სხდომის მიმდინარეობიდან. კავშირის აღდგენის შემდეგ გაირკვა, რომ მოსამართლეს დაწყებული ჰქონდა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვა. საბოლოოდ გაურკვეველი დარჩა, მოისმინეს თუ არა ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის საკითხი.[83]

3.3.თარჯიმნის მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემები

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს, რომ უცხოენოვან ბრალდებულებს ჰქონდეთ წვდომა იმ მასალების თარგმანზე, რომლებიც მნიშვნელოვანია წარდგენილი ბრალისა და მტკიცებულებების აღსაქმელად, ასევე - მთელი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.[84]

ამ მიმართულებით გამოვლინდა კარგი პრაქტიკის შემთხვევა, როდესაც მოსამართლე აჩერებდა მხარეებს, რათა თარჯიმანს მოეხერხებინა სრულყოფილი თარგმანი.[85] თუმცა, სხვა სხდომის მიმდინარეობისას გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი არასრულყოფილ თარგმანთან დაკავშირებით - პროკურორის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას, თარჯიმანი თარგმნისთვის აშკარად არაპროპორციულად მცირე პაუზას იღებდა ხოლმე.[86]

ანალოგიურად, გამოიკვეთა სასამართლო სხდომა, რომლის მიმდინარეობის დროსაც თარჯიმანმა ბრალდებულს პროკურორის ნათქვამი ერთ შემთხვევაში არასწორად უთარგმნა. მოსამართლეს ამის გამო თავად მოუწია ჩართვა და მითითების გაკეთება, რომ პროკურორმა სხვა რამ განაცხადა და თარჯიმანი ბრალდებულს სხვას უთარგმნიდა.[87]

განსაკუთრებულად გამოსარჩევია საქმე, რომელსაც თარჯიმანი ესწრებოდა, თუმცა, მოსამართლე ვარაუდობდა, რომ ბრალდებულს ქართული ენა ესმოდა, ამიტომ მოუწოდებდა ბრალდებულს, რომ „არ ეწვალებინა" სხდომის მონაწილეები და ესაუბრა ქართულად. ბრალდებული პერიოდულად განმარტავდა, რომ ესმოდა ქართული,

---

[82] 27 მაისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო.
[83] 17 ივნისი, მცხეთის რაიონული სასამართლო.
[84] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Vizgirda v. Slovenia, 59868/08, პარა. 79.
[85] 3 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
[86] 22 მაისი, ხაშურის რაიონული სასამართლო.
[87] 16 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.

თუმცა პერიოდულად ითხოვდა თარჯიმანს. მოსამართლეს საბოლოოდ მოუწია თარჯიმნის ჩართვა, ვინაიდან ვერ მოახერხა იმის გამორკვევა, ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობდა თუ არა. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულთან წინასწარი შეთანხმებული პოზიციის მიხედვით, იგი დანაშაულს აღიარებდა. მოსამართლემ განმარტა, რომ ბრალდებული „ახლაც აღიარებს, უბრალოდ ვერ გვიხსნის სათანადოდ".[88]

სამწუხაროდ, იყო შემთხვევებიც, როდესაც შეუძლებელი იყო თარგმნასთან დაკავშირებული გარემოებებზე დაკვირვება, ვინაიდან საერთოდ არ ისმოდა თარჯიმნის ხმა, ან როდესაც თარჯიმანი ფიზიკურად არ ჩანდა და შეუძლებელი იყო გარჩევა, მიმდინარეობდა თუ არა თარგმნა და რა ხარისხით.[89]

3.4. დისტანციურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

უარი დისტანციურ განხილვაზე

სხდომების დისტანციური ხასიათის შემოღების მიზანს, პირველ რიგში, პანდემიის დროს სასამართლოზე წვდომის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა ნაწილისთვის ეს მიზანი ვერ შესრულდა, მაგალითად, იმის გამო, რომ სახლში კომპიუტერული ტექნიკა არ ჰქონდათ,[90] ან მაღალმთიან სოფელში ცხოვრობდნენ, სადაც ინტერნეტი არ არის.[91]

ზემოაღნიშნული ტექნიკური და სამართლებრივი პრობლემების გათვალისწინებით, ლოგიკურია, რომ ბრალდებულთა ნაწილი სხდომის დისტანციურად ჩატარებაზე უარს აცხადებდა. მოსამართლეთა ნაწილი[92] მათ უარს ითვალისწინებდა და აკმაყოფილებდა, თუმცა, იყო შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო სხდომას მაინც დისტანციურად ატარებდა და შემდეგ სხდომასაც დისტანციური წესით ნიშნავდა.

ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას,[93] თუმცა, მიგვაჩნია, რომ სასამართლომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას დამატებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმ გარემოებას, დისტანციური წესით ჩატარებულ შესაბამის სხდომაზე სრულად არის თუ არა შესაძლებელი ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა.

აღკვეთის ღონისძიების საკითხები

---

[88] 25 მაისი, გურჯაანის რაიონული სასამართლო.
[89] 25 მაისი, გურჯაანის რაიონული სასამართლო.
[90] 22 მაისი, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.
[91] 28 მაისი, მცხეთის რაიონული სასამართლო.
[92] მაგალითად, მოსამართლე მამია ფხაკაძე (რუსთავი), მოსამართლე ზურაბ ბალავაძე (ზესტაფონი).
[93] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332^5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

მონიტორინგის მიმდინარეობისას მოსამართლეებმა აღკვეთის ღონისძიების სახედ 15 შემთხვევაში პატიმრობა, 9 შემთხვევაში კი - გირაო გამოიყენეს. აღკვეთის ღონისძიების საკითხი არ განხილულა 16 სხდომაზე, რაკი ბრალდებულს უკვე არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება ჰქონდა შეფარდებული.

მისასალმებელია, რომ პატიმრობის გამოყენებისას მოსამართლეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებას. პატიმრობა გამოიყენებოდა წარსულში მსგავსი დანაშაულების ჩადენისა და მოწმეებზე ზემოქმედების რისკის დასაბუთებულად არსებობისას.[94] ერთ-ერთმა მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით გადასინჯა გამოყენებული ღონისძიება და ბრალდებულს პატიმრობა გირაოთი შეუცვალა.[95] მისასალმებელია, რომ მსგავსი პრაქტიკა შეგვხვდა არსებითი განხილვის ეტაპზეც.[96]

გირაოს გამოყენებისას ღონისძიების დასაბუთება პრობლემურად დარჩა.[97] იყო შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს გამოყენებისას პირადი და ფინანსური გარემოებები არ გაითვალისწინა.[98] მსგავსი დამოკიდებულება გამოვლინდა საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროსაც. მეტიც, მოსამართლემ თავადვე აღნიშნა, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმა, ბრალდებულის შესაძლებლობის გათვალისწინებით, მაღალი იყო, თუმცა საპროცესო შეთანხმება მაინც დაამტკიცა.[99] ამ მხრივ პოზიტიურად უნდა შეფასდეს შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ გაითვალისწინა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა და დაუნიშნა დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე იმის მიუხედავად, რომ ეს სავალდებულოდ არ მოეთხოვებოდა.[100]

დასკვნა

პანდემიის პირობებში სასამართლო სხდომების დისტანციური წესით ჩატარება, ფაქტობრივად, ერთადერთ გზას წარმოადგენს იმისთვის, რომ ერთი მხრივ, გაგრძელდეს სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირება და საქმეთა განხილვა არაგონივრულად არ გაჭიანურდეს, მეორე მხრივ კი - საფრთხე არ შეექმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. თუმცა, წინამდებარე ანგარიში ცალსახად მიუთითებს, რომ 2020 წლის მაისი-ივნისის პერიოდში სასამართლო სისტემას ამ კუთხით სერიოზული გამოწვევები ჰქონდა.

---

[94] 27 მაისი, ხაშურის რაიონული სასამართლო; 05 ივნისი, ხაშურის რაიონული სასამართლო.
[95] 1 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე ლევან გელოვანი.
[96] 5 ივნისი, ქუთაისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე ნანა ჯოხაძე.
[97] 1 ივნისი, თბილისის საქალაქო სასამართლო, 29 მაისი, ახალქალაქის რაიონული სასამართლო.
[98] 29 მაისი, ახალქალაქის რაიონული სასამართლო.
[99] 4 ივნისი, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
[100] 3 ივნისი, ბათუმის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე დავით მამისეიშვილი.

პირველ რიგში, იმისათვის, რომ შენარჩუნდეს სასამართლო სხდომის საჯაროობა და სხდომებზე შესაძლებელი იყოს გარე მონიტორინგის ჩატარება, აუცილებელია, სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებულები შეუფერხებლად დაესწრონ დისტანციურ (მათ შორის, დახურულ) სასამართლო სხდომებს. დამატებით, სასამართლო განრიგის ერთ სისტემაში განთავსება მესამე პირებს გაუადვილებს მონიტორინგის განხორციელებას.

დისტანციური წესით სასამართლო სისტემის გამართულად მუშაობისთვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურულად აღჭურვა. განსაკუთრებით, N8 და N2 დაწესებულებები, სადაც კაცი ბრალდებულები არიან მოთავსებულნი, დამატებით უნდა აღიჭურვოს დამატებითი სპეციალური ოთახებით, საიდანაც პატიმრები შეძლებენ სხდომებზე დასწრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში კვლავ შეიქმნება სიტუაცია, როდესაც სასამართლოებს სხდომის დაწყებისათვის საათობით მოუწევთ ლოდინი.

როგორც პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი ოთახების, ისე - სასამართლო დარბაზებში არსებული ინფრასტრუქტურა, ასევე ტექნიკური/პროგრამული ინფრასტრუქტურა არსებითად უნდა გაუმჯობესდეს, რათა ბრალდებულებსა და სხდომის სხვა მონაწილეებს, რომლებიც დისტანციურად ჩაერთვებიან სხდომაზე, სრულყოფილად შეეძლოთ სხდომის მიმდინარეობისა და სხვა პირთა ვიზუალური და სმენითი აღქმა.

სასამართლოს პროგრამული ინფრასტრუქტურა უნდა შეიცვალოს ისე, რომ ბრალდებულებს სხდომის მიმდინარეობისას ჰქონდეთ ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, რასაც ცალსახად ითხოვს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მოწმის დაკითხვა არ უნდა დაიწყოს, თუკი სასამართლო არ დარწმუნდება, რომ იგი შესაბამის ოთახში მარტო, გარეშე ზეგავლენისგან თავისუფლად იმყოფება. ამასთან, თუკი სხდომის მიმდინარეობისას გამოიკვეთება, რომ მოწმის დაკითხვისას სხდომის მონაწილეთათვის ობიექტურად რთულია მისი ვიზუალის ან მეტყველების აღქმა, სასამართლოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ტექნიკური პრობლემის აღმოსაფხვრელად. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს მაინც არ ესმის მოწმის ჩვენება ან ვერ ხედავს მას, სასამართლოებმა მოწმის დაკითხვა უნდა გადადონ.

დამატებით, სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პროცესში თარჯიმნის სრულყოფილ ჩართულობას და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებას. ასევე, ბრალდებულის მოთხოვნის განხილვას სხდომის ონლაინ-ფორმატის გარეშე ჩატარების შესახებ.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- დისტანციური წესით სასამართლო სხდომების სამომავლოდ ჩატარების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმაში მკაფიოდ დაფიქსირდეს ნებისმიერი პირის მიერ პროცესზე მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა;
- დისტანციური წესით სასამართლო სხდომების სამომავლოდ ჩატარების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მიეთითოს, რომ:
    - მოწმის დაკითხვა არ უნდა დაიწყოს, თუკი სასამართლო არ დარწმუნდება, რომ იგი შესაბამის ოთახში მარტო, გარეშე ზეგავლენისგან თავისუფლად იმყოფება
    - მოწმის დაკითხვა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, თუკი ბრალდებულს ან სხდომის მონაწილე სხვა პირს არ შეუძლია მოწმის მეტყველების გარჩევა ან ვერ ხედავს მას

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებათა ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა:
    - დაწესებულებებში გაიზარდოს სპეციალური ოთახების რაოდენობა და კომპიუტერული ტექნიკა დისტანციური წესით გასამართ სხდომაზე ბრალდებულთა ჩართვის უზრუნველსაყოფად
    - სპეციალური ოთახიდან ჩართულ მსჯავრდებულის ტექნიკური შეფერხებების აღმოსაფხვრელად, გაძლიერდეს ინტერნეტ კავშირის ხარისხი და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- უზრუნველყოს საქართველოს საერთო სასამართლოების ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა:
    - შესაბამის პროგრამაში ბრალდებულსა და ადვოკატს შორის გაჩნდეს კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა;
    - სასამართლოში არსებული ინტერნეტ-კავშირის სიმძლავრე და პროგრამული უზრუნველყოფა შესაძლებლობას იძლეოდეს სხდომის ჯეროვანი მსვლელობისა და მასში მესამე პირთა უხარვეზო ჩართულობისთვის

- გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ, რათა დისტანციური წესით სასამართლო სხდომის ჩატარებისას მოსამართლეებმა:
    - განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ბრალდებულის შუამდგომლობის განხილვას სხდომის არადისტანციური წესით ჩატარების შესახებ
    - განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მტკიცებულებათა უდავოდ ცნობის დროს ბრალდებულის მიერ საკუთარი უფლებების სრულად გაცნობიერებას
    - განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თარგმნის ხანგრძლივობას, აგრეთვე თარჯიმნისა და ბრალდებულის (ან თარგმნის საჭიროების მქონე სხვა პირის) ურთიერთობის დაუბრკოლებელ და სრულყოფილ შესაძლებლობას.

დანართი

სასამართლო სხდომების დისტანციური მონიტორინგის კითხვარი

1. მოსამზადებელი პროცესი	
რომელ სასამართლოში იგეგმება მონიტორინგი?	
რა დროს არის ჩანიშნული სხდომა?	
მოსამართლის ვინაობა	
მოსამართლის თანაშემწის ვინაობა	
საქმის შინაარსი (პწს, წსს, არსებითი)	
როდის დავუკავშირდით მოსამართლის თანაშემწეს?	
მიღებულია თუ არა თანხმობა მონიტორინგზე? თუ არა, გთხოვთ დააფიქსიროთ უარის მიზეზი:	
როდის მივიღეთ თანხმობა მონიტორინგზე?	
სხვა რელევანტური გარემოებები:	

2. სხდომის დასაწყისი	
დაიწყო თუ არა სხდომა დანიშნულ დროს? თუ არა, გთხოვთ დააფიქსიროთ მიზეზი:	
ესწრება თუ არა სხდომას ბრალდებული?	
ხომ არ მონაწილეობს სხდომაში შშმ პირი, არასრულწლოვანი ან უცხოელი/თარჯიმანი?	
არასრულწლოვნის შემთხვევაში, ესწრება თუ არა მისი კანონიერი წარმომადგენელი სხდომას?	
ესწრება თუ არა სხდომას ადვოკატი? (გთხოვთ აღნიშნოთ, თუ სახაზინო წესით)	
ესწრება თუ არა სხდომას დაზარალებული?	
ესწრება თუ არა სხდომას მესამე პირი?	
ესწრება თუ არა სხდომას სხვა მონიტორი?	

3. სხდომის მიმდინარეობა	
დაფიქსირდა თუ არა ტექნიკური ხარვეზი სხდომის მიმდინარეობისას? თუ კი, გთხოვთ დააკონკრეტოთ, რა ფორმით, და რა დროის განმავლობაში	
ხდებოდა თუ არა ინტერნეტ-კავშირისა და ტექნიკური დეტალების შემოწმება საჭიროების შემთხვევაში? ვის მიერ?	
შესაძლებელი იყო თუ არა სხდომის მონაწილეთა ხმის მკაფიოდ გარჩევა?	
შესაძლებელი იყო თუ არა სხდომის მონაწილეთა მკაფიოდ დანახვა?	
მიეცა თუ არა ორივე მხარეს საკმარისი დრო საკუთარი პოზიციის წარმოსაჩენად? თუ არა, გთხოვთ განმარტოთ:	
ხომ არ განუსაზღვრა მოსამართლემ რომელიმე მხარეს კონკრეტული დრო პოზიციის წარმოსადგენად? თუ კი, რა დრო? დასაბუთებული იყო თუ არა ეს შეზღუდვა?	
ხომ არ მოითხოვა მხარემ სხდომის გადადება მისი ონლაინ-ფორმატის გამო?	
დააკმაყოფილა თუ არა სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა და რატომ?	
ხომ არ გადაიდო სხდომა?	
რომელ საათზე დასრულდა სხდომა?	

4. პირველი წარდგენის სხდომა	
ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ადვოკატთან ურთიერთობის შესაძლებლობა სხდომამდე?	
აქვს თუ არა ბრალდებულს სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატთან კონფიდენციალური საუბრის შესაძლებლობა?	
დაფიქსირდა თუ არა რაიმე პრეტენზია ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების ეფექტიან სარგებლობასთან დაკავშირებით?	
რა დანაშაულის ჩადენისთვის ედება პირს ბრალი?	
სრულად განუმარტა თუ არა მოსამართლემ ბრალდებულს საპროცესო უფლებები?	

ხომ არ გაუკეთებია ბრალდებულს განცხადება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა მოსამართლემ არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებაზე?	
ხომ არ გაუკეთებია დაცვის მხარეს განცხადება საპროცესო მოქმედების უკანონოდ ჩატარებასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა/გაიზიარა თუ არა მოსამართლემ აღნიშნული განცხადება?	
ჰქონდათ თუ არა მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა?	
ხომ არ დაფიქსირებულა ტექნიკური ან შინაარსობრივი ხარვეზი მტკიცებულებათა წარდგენის დროს?	
რა აღკვეთის ღონისძიება მოითხოვა ბრალდებამ?	
რა აღკვეთის ღონისძიება მოითხოვა დაცვამ?	
რა აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა სასამართლომ?	
გთხოვთ მიუთითოთ სასამართლოს მიერ გამოყენებული დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების შესაბამის ზომასთან დაკავშირებით	
გაითვალისწინა თუ არა სასამართლომ ბრალდებულის პირადი მონაცემები (მ/შ ფინანსური) აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას?	

5. წინასასამართლო სხდომა	
ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ადვოკატთან ურთიერთობის შესაძლებლობა სხდომამდე?	
აქვს თუ არა ბრალდებულს სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატთან კონფიდენციალური საუბრის შესაძლებლობა?	
რა დანაშაულის ჩადენისთვის ედება პირს ბრალი?	
დაფიქსირდა თუ არა რაიმე პრეტენზია ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების ეფექტიან სარგებლობასთან დაკავშირებით?	
სრულად განუმარტა თუ არა მოსამართლემ ბრალდებულს საპროცესო უფლებები?	

ხომ არ გაუკეთებია ბრალდებულს განცხადება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა მოსამართლემ არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებაზე?	
ხომ არ გაუკეთებია დაცვის მხარეს განცხადება საპროცესო მოქმედების უკანონოდ ჩატარებასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა/გაიზიარა თუ არა მოსამართლემ აღნიშნული განცხადება?	
რა აღკვეთის ღონისძიება მოითხოვა ბრალდებამ?	
რა აღკვეთის ღონისძიება მოითხოვა დაცვამ?	
რა აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა სასამართლომ?	
გთხოვთ მიუთითოთ სასამართლოს მიერ გამოყენებული დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების შესაბამის ზომასთან დაკავშირებით	
გაითვალისწინა თუ არა სასამართლომ ბრალდებულის პირადი მონაცემები (მ/შ ფინანსური) აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას?	
ჰქონდათ თუ არა მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა?	
ხომ არ დაფიქსირებულა ტექნიკური ან შინაარსობრივი ხარვეზი მტკიცებულებათა წარდგენის დროს?	
ხომ არ მოითხოვა რომელიმე მხარემ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
გაიზიარა თუ არა მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობები? გთხოვთ, მიუთითოთ დასაბუთება თითოეულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით:	

6. არსებითი განხილვის სხდომა	
ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ადვოკატთან ურთიერთობის შესაძლებლობა სხდომამდე?	
აქვს თუ არა ბრალდებულს სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატთან კონფიდენციალური საუბრის შესაძლებლობა?	

დაფიქსირდა თუ არა რაიმე პრეტენზია ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების ეფექტიან სარგებლობასთან დაკავშირებით?	
რა დანაშაულის ჩადენისთვის ედება პირს ბრალი?	
სრულად განუმარტა თუ არა მოსამართლემ ბრალდებულს საპროცესო უფლებები?	
ხომ არ გაუკეთებია ბრალდებულს განცხადება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა მოსამართლემ არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებაზე?	
ხომ არ გაუკეთებია დაცვის მხარეს განცხადება საპროცესო მოქმედების უკანონოდ ჩატარებასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა/გაიზიარა თუ არა მოსამართლემ აღნიშნული განცხადება?	
რა აღკვეთის ღონისძიება მოითხოვა ბრალდებამ?	
რა აღკვეთის ღონისძიება მოითხოვა დაცვამ?	
რა აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა სასამართლომ?	
გთხოვთ მიუთითოთ სასამართლოს მიერ გამოყენებული დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების შესაბამის ზომასთან დაკავშირებით	
გაითვალისწინა თუ არა სასამართლომ ბრალდებულის პირადი მონაცემები (მ/შ ფინანსური) აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას?	
დაიკითხა თუ არა მოწმე(ები) სხდომის მიმდინარეობისას?	
განხორციელდა თუ არა ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა? რა ვითარებაში?	
ხომ არ დაფიქსირებულა ტექნიკური ხარვეზი მოწმის დაკითხვის დროს?	
იყო თუ არა მოწმის მეტყველებისა და მიმიკის მკაფიოდ გარჩევა შესაძლებელი დაკითხვისას?	
ხომ არ წარმოშობილა საფუძველი ეჭვისთვის იმის შესახებ, რომ დაკითხვის დროს მოწმეს ჰქონდა სხვა პირთან კომუნიკაცია (მ/შ ელექტრონულად), ან კითხულობდა წინასწარ დაწერილ ჩვენებას?	

ხომ არ დაუფიქსირებია რომელიმე მხარეს პროტესტი მოწმის დაკითხვისას? თუ კი, გთხოვთ მიუთითოთ:	
რა პოზიცია გაიზიარა სასამართლომ? გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი დასაბუთება:	
ხომ არ დაუფიქსირებია რომელიმე მხარეს პროტესტი პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით?	
რა პოზიცია გაიზიარა სასამართლომ? გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი დასაბუთება:	
სხვა რელევანტური გარემოებები:	

7. საპროცესო გარიგების შესახებ სხდომა	
ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ადვოკატთან ურთიერთობის შესაძლებლობა სხდომამდე?	
აქვს თუ არა ბრალდებულს სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატთან კონფიდენციალური საუბრის შესაძლებლობა?	
დაფიქსირდა თუ არა რაიმე პრეტენზია ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების ეფექტიან სარგებლობასთან დაკავშირებით?	
რა დანაშაულის ჩადენისთვის ედება პირს ბრალი?	
სრულად განუმარტა თუ არა მოსამართლემ ბრალდებულს საპროცესო უფლებები?	
ხომ არ გაუკეთებია ბრალდებულს განცხადება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა მოსამართლემ არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებაზე?	
ხომ არ გაუკეთებია დაცვის მხარეს განცხადება საპროცესო მოქმედების უკანონოდ ჩატარებასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ აღწეროთ:	
რა რეაგირება განახორციელა/გაიზიარა თუ არა მოსამართლემ აღნიშნული განცხადება?	
სრულად განუმარტა თუ არა მოსამართლემ ბრალდებულს დამატებით, საპროცესო გარიგების შინაარსთან დაკავშირებით მისი უფლებები?	

ხომ არ დაფიქსირებულა ტექნიკური ხარვეზი ბრალდებულის საუბრის დროს?	
იყო თუ არა ბრალდებულის საუბრისა და მიმიკის მკაფიოდ გარჩევა შესაძლებელი დაკითხვისას?	
ხომ არ წარმოშობილა საფუძველი ეჭვისთვის იმის შესახებ, რომ ბრალდებულს საუბრისას ჰქონდა სხვა პირთან კომუნიკაცია (მ/შ ელექტრონულად), ან კითხულობდა წინასწარ დაწერილ ჩვენებას?	
ხომ არ შეცვალა ბრალდებულმა პოზიცია საპროცესო გარიგების დადებასთან დაკავშირებით? თუ კი, რატომ?	
დაამტკიცა თუ არა მოსამართლემ გარიგება?	
ხომ არ გამოიკვეთა კანონისმიერი პრობლემა გარიგების შინაარსთან დაკავშირებით? თუ კი, რატომ?	